№ 7

პარასკევი, 24 იანვარი 1897 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| ხ . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 7

პარასკევი, 24 იანვარი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

**ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოზის**

მიცვალების წლის თავზედ, კვირას, 26 იანვარს, გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნაშუადღევის 2 საათზედ.

(ვ.—მ.—1)

## „ივერია"

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 „ — — — — | 6 | „ |
| 11 „ — — — — | 9 | 50 | 5 „ — — — | 5 | 50 |
| 10 „ — — — — | 8 | 75 | 4 „ — — — | 4 | 75 |
| 9 „ — — — — | 8 | „ | 3 „ — — — — | 3 | 50 |
| 8 „ — — — — | 7 | 25 | 2 „ — — — — | 2 | 75 |
| 7 „ — — — — | 6 | 50 | 1 „ — — — — | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверіа".

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაუგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ-შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

ქართული თეატრი.

**ბენეფისი**

კნ. ბ. ავალიშვილისა.

ოთხშაბათს, 29 იანვარს.

პირველად ახალი პიესა

ქართული-ის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა, ყიფიანისა და აბაშიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

I

**ბოშა ქალი ზანდა**

დრ. 4 მოქ. 5 სურ., თარგმ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, ივანიძე და სხვ. ბ-ნნი. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, მარჯანიშვილი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე კარბელი, საფაროვი, აბრამოვი, გვარამაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

**მთავრობის ბანკარგულებანი.**

—

გადაყვანილ იქმნა: მომრიგებელ-მოსამართლეს თანაშემწე, კოლლეჟსკი სეკრეტარი თავადი ვეზირიშვილი ორდუბადის ნაწილის გამომძიებლად.

ნუხა-არეშის მომრიგებელ-შუამავალი ტიტულიარნი სოვეტნიკი ვეზირიშვილი—შუშას განყოფილების მომრიგებელ-შუამავლად.

—✦—

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელის გენ.-ინფ. გრაფ ტატიშჩევის მოსკოვში წასვლისა გამო, მისის თანამდებობის აღსრულება დროებით ჩაჰბარდება კავკასიის ჯარების კორპუსის უფროსს თავ. ი. გ. ამილახვარს.

*** ამ დღეებში ჩვენის გაზეთის მკითხველებს ვაუწყეთ, რომ ქუნთრუშით ავადმყოფ ყრმათათვის საავადმყოფოს ქალაქის გამგეობა მტკვრის ნაპირა ქუჩაზე, მამიკონოვის შენობაში, ჰმართავსო. მაგრამ, როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რაღაც მიზეზების გამო, ბ-ს მამიკონოვს ქალაქის გამგეობისათვის უარი გამოუცხადებია და ეს უკანასკნელი ხსენებულ საავადმყოფოსათვის ქირაობს ფერშალ ჩერნიშევის შენობას. ავლაბარში, ფალავანდიშვილის ქუჩაზედ.

*** 21 იანვარს ქალაქის გამგეობას, ხმის უმეტესობით, ქალაქის სასანიტარო საექიმო ინსპექტორად, სამის წლის ვადით, ამ თანამდებობისვე აღმასრულებელი ექიმი გ. ნ. სტეფანოვი ამოურჩევია. ამავე თანამდებობას ექიმი ვართანოვიც თხოულობდა.

*** გაზ. „ტიფ. ლის." შემდეგს სამწუხარო ამბავს ატყობინებენ თელავიდგან: ამ რამდენისამე ხნის წინად თელავის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლე—მათიაშვილი დაჰკბინა ცოფიანმა ძაღლმა. მათიაშვილი, სანამ ცოფის ნიშნები გამოაჩნდებოდა ტფილისს პასტერის ბაქტერიოლოგიურ საავადმყოფოში გაჰგზავნეს, სადაც ცოფს ურჩიდნენ. დაჰყო-რა მათიაშვილმა საავადმყოფოში საჭირო ვადა, სრულიად მორჩენილი სახლში დაბრუნდა. მაგრამ, რამდენიმე ხნის შემდეგ, ცოფი კვლავ გამოაჩნდა და ავადმყოფი ისევ ტფილისში გამოგზავნესო.

*** ბაქოში მცხოვრები ქართველი საზოგადოება პირველს თებერვალს „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ ჩვეულებრივად ქართულ საღამოს გაჰმართავს. რაღა თქმა უნდა, იმედია, რომ ამ საქმის მოთავენი, რომელნიც დიდს მზადებაში არიან, ჩვეულებრივ მშვენივრად გაჰმართავენ საღამოს.

*** ამ დღეებში ქ. ბათუმის გამგეობის წევრთაგან რიგისამებრ ერთერთი უნდა გამოსულიყო. ეს რიგი ერგო ბ-ნს ი. ა. ივანოვს. ამ თანამდებობაზედ კენჭი იყარეს ისევ ბ-ნმა ივანოვმა, ტრაფიმოვმა და აგიევსკი.მ ბ-ნს ივანოვს ამოუვიდა 23 თეთრი კენჭი და შავი არც ერთი, ხოლო ბ-ნთ ტრაფიმოვს და აგიევსკის, თითოეულს, 23 შავი და 10 თეთრი. ამ რიგად ბ-ნი ივანოვი ხელმეორედ იქმნა არჩეული ბათუმის გამგეობის წევრად.

*** გაზ. „ტიფ. ლისტ."-ის სიტყვით, სამხედრო სამინისტროს განკარგულებისამებრ, კავკასიის ექიმთა საზოგადოებამ საშუალო აზიაში სამი სამხედრო ექიმი უნდა გაჰგზავნოს ინდოეთიდამ შავის ჭირის რუსეთში გადმოტანის წინააღმდეგ საშუალებათა სახმარებლად.

*** ხშირად საყვედური გვსმენია იმის შესახებ, რომ ტფილისის სახელოსნო გამგეობა ერთობ ავიწროებსო ხელოსნებს, როცა ამ უკანასკნელთ ხელოსნობის მოწმობას აძლევს. მაგალითად, 25 მან. ახდევინებსო. როგორც გაზ. „ტიფ. ლის." ამბობს, სახელოსნო გამგეობის ამ გვარ უსამართლო მოქმედებას საგუბერნიო მართველობამ ყურადღება მიაქცია თურმე და თავისი დადგინება აცნობა ქალაქის გამგეობას, რომლითაც ამ უკანასკნელს ავალებს თვალ ყური ადევნოს სახელოსნო გამგეობას, რომ დადგენილს სამს მანეთზედ მეტი არას შემთხვევაში არ გადაახდევინოს ხელოსნებს მოწმობაში.

*** გაზ. „კავკაზის" სიტყვით, ტფილისის გუბერნატორს მაზრის უფროსებისათვის მიუწერია, რომ 15 თებერვლამდის აცნობონ მას, რა მდგომარეობაში იყო თითოეული სოფლის სასოფლო თანხა 1897 წ. 1 იანვრამდის.

*** 22 იანვარს ინჟინერმა მიხაილოვმა ტფილისის ქალაქის გამგეობას აუწყა: საფრანგეთის ერთს საზოგადოებას ჰსურს იკისროს ტფილისში ახალის საყასბოს აგება იმ გეგმით, რომელიც შედგენილი აქვს ქალაქის გამგეობას. თუ ქალაქი მოისურვებს, ხსენებული საზოგადოება სხვა გეგმის საყასბოს ააგებს, როგორიც ამ უკანასკნელ ხანებში იმ საზოგადოებამ მრავალი ააგო საფრანგეთშიო.

საზოგადოება თხოულობს, რომ ქალაქმა მარტო მას დაუთმოს უფლება საკლავის გამოუსადეგარს შიგ ნეულობის მოხმარებისა, რომლის სასარგებლო ნივთიერებად გარდასაქმნელად ის საყასბოს ახლო ქარხანას ააგებს. საყასბოში საქონლის დახოცვის, სანიტარულ მდგომარეობის და ბაჟის მოკრების საქმე ქალაქის გამგეობამ უნდა იკისროს. საზოგადოება თავის მოხელეებსაც იყოლიებს საყასბოში და ამასთანავე თვალ-ყურს ადევნებს, რომ ქალაქში მალულად საქონელი არავინ დახოცოს. ხსენებული საზოგადოება 40—60 წლის ვადით თხოულობს კონცესსიას და ამასთანავე ქალაქმა რამდენიმე %-ი უნდა დაუთმოს საქონლის დახოცვაში აღებულის ბაჟისა.

*** კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის ტელეგრაფის უფროსმა, ბ-ნ იაგოროვმა სთხოვა ამავე რკინის გზის უფროსს ბ ნ ვედენევს, ნება მომეცით რკინის გზის სადგურებზედ მოსამსახურეთა შორის შესაწევარი შევკრიბო, რომ ამითი ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინონ ამას წინად მოკლულ რიხტერის ულუკმა პუროდ დატოვებულ ოჯახსაო.

*** კავკასიის აქეთა მხრის ტელეგრაფის უფროსის ბ-ნი იაგოროვის განკარგულებით, ტელეგრაფის მოხელეთა კანდიდატები, რომელნიც ამდენ ხანს მხოლოდ ათ-ათ მანეთს იღებდნენ თვეში და სამი ოთხი წელიწადი უცდიდნენ, აბა როდის მოგვხედავს ღმერთი და ტელეგრაფის მოხელის ადგილს მოგვცემენო, ეხლა ხელახლა გამოცდის შემდეგ, თუ ღირსი აღმოჩნდებიან, სრულ მოხელედ იქმნებიან ჩარიცხულნი და ჯამაგირი მიემატებათ. ასეთი მოსამსახურეთა რიცხვი 150-საც აღემატება და უმეტესი ნაწილი ქართველია.

*** სოფელი შაგანი. აქ საზიზღარი მკვლელობა მოხდა ამ დღეებში. შუადღისას სასოფლო ქუჩაში დამბაჩით მოკლეს გლეხი დიმიტრი ცომაია, რომელსაც მდიდარის გლეხის სახელი ჰქონდა თურმე გავარდნილი, საშინელ ძუნწად სცხოვრობდა და ფულებს აძლევდა სესხად. როგორც გვატყობინებენ, სიკვდილის მიზეზი შურისძიება ყოფილა. მკვლელი ჯერ ვერ აღმოუჩენია გამოძიებას.

*** სოფ. ყობანი (კავკავის მაზრა): იანვრის 11-ს, დილით, ერთი ყობანელი ოსი მიდიოდა კავკავისკენ ცხენით. ჩაეშვა თუ არა ტყიანში, უცბად გავარდა თოფი, მოხვდა ცხენს და იქვე დაეცა. ამ ნაირად ავაზაკები გადმოცვივდნენ ტყიდამ, ოსს რაც რამ ებადა წაართვეს, ცხენსაც უნაგირი მოხადეს და გაუდგნენ გზას.

*** „ნოვოე ობოზრენიეს" პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ, ბ-ნი გიორგი ჟურული დაუნიშნავთ კავკასიის საცენზორო კომიტეტის ქართულისა და აღმოსავლეთის ენების უმცროს ცენზორის თანამდებობის აღმასრულებელად.

—

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.**

—

გუშინ, 23 იანვარს, მოხდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. ამ კრებას უნდა მოესმინა მოხსენება კამისიისა იმის შესახებ, თუ რა გვარი სამეურნეო სკოლა შეუძლიან გამართოს ხსენებულს თავად-აზნაურობას ს. ოძისში, იმ მამულში, რომელიც აჩუქა მას თ. ზ. გ. ერისთავმა, და რა ხარჯი დასჭირდება ვარაუდით ამ საგნის განხორციელებას. შინაარსი კომისიის მოხსენებისა ვრცლად იყო მოხსენებული „ივერიის" მე-4 და 5 №№-ის მეთაურებში.

შემდეგ მოხსენების მოსმენისა თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ. კ. ი. მუხრანსკიმ მიჰმართა კრებას და სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი. თავისის მხრით დასძინა, რომ კომისიის მხრით მოხსენებული წყაროები, როგორც ბანკის მხრით შემწეობა და თავად-აზნაურთა ქარვასლის შემოსავალი, საიმედო საფუძველნი არ არიან, რადგან ბანკს არა აქვს განსაზღვრული შემოსავალი, ქარვასლის შემოსავალი კი არ აღემატება 5,000—6,000 მანეთსო.

თ. ალ. მუხრანსკი. ჯერ-ჯერობით ის უნდა გამოვიკვლიოთ: თანახმა არის, თუ არა ჩვენი თავად-აზნაურობა მიიღოს ეს საჩუქარი თ. ზ. ერისთვისაგან და როდესაც ეს საგანი გამოირკვევა,—მაშინ შევუდგეთ განხორციელებისათვის საჭირო წყაროების მოპოვებას.

ბან. გ. ხიმშიაშვილი. მე მგონია,

ერთად-ერთი საიმედო და უტყუარი წყარო, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ჩვენს განზრახვას, არის ის, რომ ჩვენ ჩვენის მხრით გავიწეროთ შეძლებისადა გვარად გარდასახადი და შევაგროვოთ ესა, თუ ის თანხა; თორემ ბანკისა და ქარვასლის შემოსავალი ცვალებადია და საიმედო ნიადაგს არ შეადგენს სკოლისათვის.

თ. ივ. ს. ჭავჭავაძე. ბანკსა აქვს თანხა, რომელსაც ეწოდება „თავად-აზნაურთა საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი“ თანხა; წელიწადში ის 16,000 მანეთს შეიქმს. ეს ფული უნდა გადაიდვას ჩვენის საგნის განსახორციელებლად; გარდა ამისა მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ 1897 წელში ჩვენს ქარვასლას ყოველს ხარჯს გარდა წმიდა შემოსავალი დარჩება 10—12,-ათას მანეთამდე. თუ ჩვენ არ შეგვიძლიან, რომ ახლავე ერთბაშად გამოვიღოთ ის ერთ-ჟამიერი ხარჯი—46-ათასი მანეთი, რომელიც კომისიამ თავის მოხსენებაში აღნიშნა, მაშინ სამი-ოთხის წლის განმავლობაში გარდავდვათ ხოლმე ეს წმიდა შემოსავალი ქარვასლისა და ჩვენ გვექნება 40—50 ათასი მანეთი ამ გვარის ხარჯისათვის. თ. ერისთავი იმას-კი არა თხოულობს, რომ ეხლავე წარმოადგინეთ ფულებიო, არამედ იმას, რომ ოღონდ თქვენ თანხმობა გამოაცხადეთ და მე რამდენს ხანსაც გნებავთ—მოვიცდიო.

თავმჯდომარე კრებისა. თ. ჭავჭავაძევ! რატომ თქვენს ანგარიშში არ არის მოხსენებული მაგდენი წმინდა შემოსავალი?

თავ. ივ. ს. ჭავჭავაძე. წარსულის წლის ანგარიშში 9 ათას მანეთამდეა ნაჩვენები წმინდა შემოსავალი და წრეულს-კი მე ვამტკიცებ, რომ სულ უკანასკნელი 10,000 მანეთი გვექნება.

თავმჯდომარე. რაც არის და იქნება ამ ქარვასლის შემოსავალი, ის დაგვჭირდება იმ ვალის გასასტუმრებლად, რომელიც ქარვასლასა აქვს.

თ. ივ. ს. ჭავჭავაძე. გავყოთ: ნახევარით ვალი გავისტუმროთ და ნახევარი გადავდოთ სკოლისათვის.

შემდეგ შეიქმნა კამათი თავმჯდომარისა და თ. ივ. ჭავჭავაძის შორის იმის შესახებ, ქარვასლას შემოსავალი მეტი აქვს, თუ გასავალიო. თ. ჭავჭავაძემ დაუმტკიცა, რომ შემოსავალი ქარვასლას ჰქონია 65 ათას მანეთზე მეტი და გასავალი-კი 54 ათასი მან.

თ. ი. მაჟაშვილი (თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი). თ. ერისთავმა გვაჩუქა მამული და თან იმ გვარი პირობანი დაგვიდგა, რომ არა თუ ყოველს ღონისძიებას გვისპობს განვახორციელოთ ჩვენი განზრახვა, არამედ პირდაპირ ჩვენთვის საზარალოა... ჩვენ ეგ გვღატაკებს..

თავმჯდომარემ და ზოგიერთმა წევრებმა საჭიროდ სცნეს მოსმენა თ. ილ. ჭავჭავაძის აზრისა ამ საგნის შესახებ.

თ. ილ. ჭავჭავაძე. დიდი ხანია ჭეშმარიტებად აღიარებულია, რომ მოგება და ზარალი ტყუპნი არიან! დღეს აქვს ბანკს მოგება, ხვალ, შეიძლება, აღარაფერი ჰქონდეს; შეიძლება ხვალ ომი ასტყდეს, გირავნობის ფურცლები მაშინვე ფასში დაიწევს—და ბანკსაც ყოველივე მოგება დაეკარგება. ამისათვის მე გადაჭრილს ვერას აღგითქვამთ,—ჩემზედ ხომ არ არის დამყარებული პოლიტიკური ეკონომია მთელის ქვეყნისა!.. ვინ იცის მაინც რა მოელის ბანკს? ეხლაც ერთმა ნაწილმა თავად-აზნაურობისამ მიართვა საჩივარი სამინისტროს და ითხოვა, რომ 1, სოფლის მამულები დაფასდეს ხოლმე, არა 6°/₀, არამედ 7°/₀ კვალობაზედ და ქალაქის მამულები წმინდა შემოსავალის ნახევრის კვალობაზედა... ამ საჩივარს თქვენც (თავმჯდომარეს) ტაში დაუკარით... რასაკვირველია, ასეთი ზომა ძირს გაუთხრის ბანკს და შემოსავალს მოუსპობს: ეს ახლავე დაეტყო ბანკის საქმეებს... ამისათვის ვერავითარს იმედს მე, როგორც თავმჯდომარე ბანკის გამგეობისა, ვერ მივსცემ თავად-აზნაურობას და თუ ექნება სახსარი ბანკს, რასაკვირველია, ყოველთვის მზად არის და იყო მოგეშველოთ.

შემდეგ წარმოითქვა სხვა-და-სხვა აზრი. ზოგმა განიმეორა უკვე აღნიშნული მოსაზრებანი. ბ-ნ კობიაშვილი ამტკიცებდა, რომ ბანკს შეუძლიან წელიწადში 16 ათასი მანეთი მოგვაშველოს; ქარვასლას 10 ათასი და თვით შემოწირულს მამულს 2—4 ათასიო. და თუ მაინცა დამაინც ეს ორი საშუალება შეიქმნა საეჭვო,—ქარვასლის შემოსავალიც საკმარისია ჩვენის საგნის განსახორციელებლადაო; ოღონდ პირველ-დაწყებითი სკოლა დავაარსოთ საშუალ სასწავლებლის ნაცვლად და ხარჯთ-აღრიცხვა ამის დაგვარად შევამციროთო. ან. ნ. ფურცელაძე ამტკიცებდა, რომ საჭიროა, წინსვლა მივსცეთ თავად-აზნაურთა იმ გარდაწყვეტილებას, რომლითაც გარდასახადი გაწერილია თავად-აზნაურობაზედ და ისე შევაგროვოთ საჭირო თანხა, თორემ ბანკს რომ მივაჩერდეთ და იმისის იმედით დავდგეთ, ეს ის იქნება, რომ ის სკოლაც დავღუპოთ, რომელიც ახლა ხელთა გვაქვს, და ვეღარც ახალი მოვიპოვოთო; ესე იგი ერთის ხელით ორი კურდღელი მოვკლათო. თ. ალ. ჩოლოყაშვილი იმ აზრისა იყო, რომ შევატყობინოთ თ. ერისთავს, რომ მის მიერ მოწოდებულ პირობათა აღსრულება არ ძალგვიძს თანხის უქონლობის გამო და ვთხოვთ სხვა პირობებზედ დაგვთანხმდესო; მამული იმ პირობით გვაჩუქოს, რომ როდესაც და რა გვარი სკოლის აშენებაც შევეძლება, ისეთი ავაშენოთო. ეს ან გუბერნიის წინამძღოლს მივანდოთ, ან კამისია ავირჩიოთო. თ. ლ. ჯანდიერი ამტკიცებდა, რომ ეს საჩუქარი უნდა მივიღოთ მადლობა შევსწიროთ თ. ერისთავს და სკოლაც ავაგოთ და თუ სხვა წყაროები არ მოგვეპოვება, თავად-აზნაურობაზედ გავაწეროთ და ისე მივეშველოთ ამ გვარს სასარგებლო და საშვილიშვილო საგანსაო. რა არის დამღუპველი ჩვენი ამ საჩუქარში, არ მესმისო.

თ. ზ. თ. ჩოლაყაშვილი. ამდენი საუკუნე გავიდა, ბატონებო, და ჩვენდა სამწუხაროდ ერთი ჩვენთაგანი არ გამოჩენილა, რომელსაც ასეთი საფასო რამე შეეწიროს ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ერთი კაცი გამოჩნდა, ამოდენა მამული შემოგვწირა და ეხლა ვიძახით: ეს საჩუქარი დაგვღუპავსო!.. მე სწორედ განცვიფრებული ვარ! თუ ეს ასეა, მაშინ რაღა გვეთქმის მის მეტი, რომ საუკუნო ნეტარება ნუ მოეშალოთ ყველა ჩვენს მიცვალებულებს და ბარაქალა ცოცხლებს, რომელთაც ერთი გროშიც კი არ შეუწირავთ ჩვენის საზოგადო საქმისათვის...

ი. ს. ჯაბადარი იმ აზრისაა, რომ ვსთხოვოთ თ. ერისთავს ნურავითარის პირობით ნუ შეგვზღუდავს—ისე გვაჩუქოს და ჩვენ დავარწმუნოთ, რომ, როცა შეძლება გვექნება, მხოლოდ მის მიერ აღნიშნულ საგანს მოვახმაროთ მისი საჩუქარიო.

შემდეგ ამისა კრებამ მოითხოვა კომიტეტის აღრჩევა, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი ამ საგნის განსახიერებლად და მოახსენოს თავად-აზნაურთა მორიგ კრებას.

თ. ილ. ჭავჭავაძე. რად გვინდა კომიტეტი? ამოდენს ხალხს ვერ გვიპოვნია ეს დამალული თანხა და კომიტეტი სად ნახავს!.. ამ ათის წლის წინად თავად-აზნაურობამ გარდასწყვიტა გაეწერათ თვით თავად-აზნაურობაზედ გარდასახადი ამ გვარის საჭიროებისათვის და ჯერაც ფეხი არ წარუდგამს ამ ქაღალდს. რატომ არ ეცადეთ წარგედგინათ სადაც ჯერ არს? კაცმა ამოდენა მამული შემოგვწირა; გვეუბნება, გული მტკივა საზოგადო საქმისათვის, აი ჩემის მხრით წვლილიო და ჩვენ-კი ვიძახით: არ გვინდა, დავიღუპებითო. არა, ბატონებო, მივიღოთ, ხელი გავუწოდოთ ასეთს შემწეობას, შევეწიოთ ჩვენც რამდენიც შეგვიძლიან—და საქმე გაკეთდება...

ცოტა ხნის კამათის შემდეგ კრებამ გარდასწყვიტა აღირჩიოს კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაასახელა თვით თ. ზ. გ. ერისთავი და წევრებათ: თ. ივ. ჭავჭავაძე, თ. ალ. ჩოლოყაშვილი და თ. ი. შალიკაშვილი.

## თეატრის მატიანე.

ვენეციელი ვაჭარი, დრამა 4 მოქ. 5 სურ. შექსპირისა, თარგ. დ. ყიფიანისა.
უბედური დღე, ვოდ. 1 მოქ. ბალანჩივაძესი.

ოთხშაბათს, 22 იანვარს ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ კ. დ. ყიფიანის საბენეფისოდ წარმოადგინა შექსპირის ცნობილი დრამა „ვენეციელი ვაჭარი“, რომელიც არა ერთხელ წარმოუდგენიათ ჩვენს სცენაზედ და რომელსაც ჩვენი საზოგადოება, კარგად იცნობს, სამწუხაროდ მთელმა პიესამ მეტად სუსტად ჩაიარა, რის მიზეზიც, უმთავრესად ის იყო, რომ პიესა არ იყო კარგად მომზადებული; როლები დარიგებული ჰქონდათ სრულიად ნორჩს და გამოუცდელს მოთამაშეებს, ასე რომ სცენაზედ რიგიანად თავისდაჭერაც კი არ ეხერხებოდათ. ამას დაურთეთ სრული უცოდინარობა როლებისა და წარმოიდგინეთ, როგორ უნდა ჩაევლო შექსპირის პიესას. უცოდი-

# ფელეტონი

—

### ჩალის სკამების მწნელი ქალი

(დასასრული *).

ამასობაში დედ-მამა დაეხოცა. ყმაწვილმა ქალმა განაგრძო მშობლების ხელობა და მეგობრებად ჰყავდა ორი საშინლად ავი ძაღლი.

ერთს დღეს, როდესაც ქალი პატარა ქალაქში დაბრუნდა, დაინახა თურმე ერთი ყმაწვილი ქალი და თავისი დიდად საყვარელი კაცი, რომელიც შოკეს აფთიაქიდგან ხელიხელს გაყრილნი გამოდიოდნენ. ესენი ცოლ-ქმარნი გამოდგნენ. მისს სატრფოს უკვე ჯვარი დაეწერა.

იმ საღამოსვე სკამების გამკეთებელი ქალი გადავარდა თავის დასახრჩობად ტბაში, რომელიც დიდს მოედანზედ იყო ქალაქის სამმართველოს წინ. ერთმა კაცმა შენიშნა ეს ამბავი, შევარდა, გამოიყვანა და მოათრია შოკეს აფთიაქში. ახალგაზდა შოკე ხალათში გახვეული ჩამოვიდა ზემო სართულიდგან და თითქო, ვერ იცნოო, საშველად გაახდევინა ტანისამოსი, გულ-მოსაბრუნებელი წამლები მისცა, მაგარი სასუნებლები ასუნებინა და ბოლოს მკაცრის კილოთი ჩასძახა თურმე ყურში: „გიჟი ყოფილხართ! განა მაგეთი სისულელე შეიძლება?!“ ეს სიტყვებიც საკმარისი იყო თურმე, რომ ქალი მობრუნებულიყო და სიამოვნება ეგრძნო, „ის დამელაპარაკაო“. ყმაწვილმა ქალმა შეაძლია გასამრჯელო, მაგრამ აფთიაქის პატრონმა არ გამოართვა.

ასე მიმდინარეობდა ამ ქალის ცხოვრება: სკამებს აკეთებდა და თან შოკეს ფიქრში იყო. ყოველს წელს იგი ხედავდა შოკეს, აფთიაქში დიდს მინებს უკან მდგომარეს. ქალმა ჩვეულებად შემოიღო და სხვა-და-სხვა საექიმო წამლებს ჰყიდულობდა ხოლმე შოკეს აფთიაქში. ამ საშუალებით ეძლეოდა შემთხვევა მალ მალე ენახა შოკე და იმისთვისვე მიეცა ხოლმე ფული.

როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, ქალი ამ ზაფხულს გარდაიცვალა. მიამბო თუ არა იმ უბედურმა ეს სამწუხარო ამბავი, გადმომცა თავის მიერ შენაკრეფი ფული და მთხოვა, იმას მიეცი, ვინც სიცოცხლეში ასეთის მოთმინებით მიყვარდაო. თუ ვმუშაობდი იმისათვის ვმუშაობდიო, იმისათვის ლუკმა პურსაც-კი ვიკლებდი, რომ ერთხელ მაინც ეფიქრა შოკეს ჩემზედ, როდესაც მე ცოცხალი აღარ ვიქნებოდი ამ ქვეყანაზედაო.

ორი ათას-სამას-ოცდა-შვიდი ფრანკი გადმომცა. აქედგან ოცდა-შვიდი ფრანკი მღვდელს მივეცი მკვდრის დასამარხი და დანარჩენი ფული სახლში წავიღე.

მეორეს დღეს შოკესთან მივედი. ისა და ერთი ვიღაც წითური სხვილი კაცი საუზმეს ათავებდნენ დ სახე კმაყოფილებით უღიმოდათ.

დამსვეს და ერთი ჭიქა სასმელი მომითავაზეს. დავიწყე ჩემი სიტყვა გრძნობიერის კილოთი, სრულიად დარწმუნებული, რომ მსმენელთ ავატირებდი. მიხვდა თუ არა, რომ მაწანწალა სკამების მკეთებელსა და ჩალის მგრეხელს ქალსა ვყვარებივარო, დამცირებული შოკე დიდად შესწუხდა, თითქოს ვინმე ქურდობის ხელით შეჰხებოდა იმისს სახელს და იმის ოჯახის პატიოსნებას შოკეს ცოლი კიდევ, ამ ამბით არა ნაკლებ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, იმეორებდა: „იმ მათხოვარას! იმ მათხოვარას! იმ მათხოვარას!.. «თითქოს სხვა სიტყვა ვეღარ ეპოვაო.

შოკე წამოდგა, საშინაო ბერძნული ქუდი ყურზედ ჩამოიფხატა და თანაც ჩქარის ნაბიჯით დაიწყო სიარული, დაღონდა და ბუტბუტებდა: „ასეთი ამბავიც გაგონილა, ექიმო? ოჰ! იმისს სიცოცხლის დროს რომ მცოდნოდა ეს გარემოება, მაშინ დავაჭერინებდი, საპატიმროში ჩავაგდებინებდი და იქიდგან თავისს სიცოცხლეში ვეღარ გამოვიდოდაო!“

მე გაოცებული შევსცქეროდი ამ ამბავს, არ ვიცოდი რა მეთქვა, ან როგორ მოვქცეულიყავ. მაგრამ ჩემი მინდობილება მაინც ბოლომდის უნდა აღმესრულებინა და ამიტომ განვაგრძე: მომაკვდავმა მთხოვა გარდმომეცა თქვენთვის მიგროვილი ფული ორი ათას სამასი ფრანკი, რადგან, როგორც მივხვდი, თქვენთვის ამ ფულის მიღება სასიამოვნო არ იქნება, ისევ ის ემჯობინება, რომ ეს ფული ღარიბებს გადავსცე“.

გაოცებულმა ცოლქმარმა ცქერა დამიწყეს.

ჯიბიდგან ამოვიღე ფული, საცოდაობით სხვა-და-სხვა ადგილას მოგროვილი: ოქრო, ვერცხლი და სუები ერთი-ერთმანერთში არეული.

შემდეგ ხელმეორედ ვკითხე: „რას იტყვით მეთქი? პირველად შოკეს ცოლმა ამოიღო ხმა და სთქვა: „რადგან იმ საცოდავის უკანასკნელი სურვილი ეგა ყოფილა... მე მგონია ჩვენის მხრივ ძნელია უარის თქმა. დაბნეულმა ქმარმა ეხლა მოახერხა: „მაგ ფულით შეიძლება ჩვენს შვილებს ცოტაოდენი რამე უყიდოთო.“ მე გულ-ცივად მიუგე: „როგორც გნებავდეთ-მეთქი.“

იმან განაგრძო: „რადგან თქვენც შეწუხებული ხართ მოსვლით და თვით ქალის სურვილიც ეგა ყოფილა, გადმოგვეცით ფული; ვეცდებით კეთილი საქმისთვის გამოვიყენოთ.“

გადავეცი ფული, თავი დაუკარი და გამოვედი. მეორე დღეს შოკე მოვიდა ჩემთან და უცებ მითხრა: „მე მგონი სამგზავრო ოთახისებური უნდა დაეტოვებინა იმ ქალს. რას იტყვი ამის შესახებ?“

— „არაფერს, თუ გინდათ, თქვენ წამოიღეთ“.

— ძალიან კარგი. ჩემთვის საჭიროა. ჩემს ბაღში ოთახად დავდგამ.

წავიდა. მე მეორედ დავაძახებინე. „იმ ქალს დარჩა კიდევ ერთი ბებერი ცხენი და ორი ძაღლი. ისინიც გინდათ?“ ის გაოცებული შეჩერდა და ჩაფიქრდა: „აჰ! არა; რაში უნდა გამოვიყენო? ვისაც გინდოდეთ, იმას მიეცით“, და თან სიცილი დაიწყო. შემდეგ გამომიშვირა ხელი და მეც ჩამოვართვი. რას იზამთ? შეუძლებელია, რომ ექიმი და აფთიაქის პატრონი პატარა ქალაქში წინააღმდეგნი იყვნენ ერთმანერთისა. ძაღლები მე დავიტოვე. ცხენი მღვდელმა წაიყვანა. კარავი შოკემ ოთახად დაიდგა ბაღში. შოკემვე იყიდა ქალის ფულებით რკინის გზის საზოგადოების ხუთი აქცია.

აი ნამდვილი და ღრმა სიყვარული, რომლისთანის მოწმეც მხოლოდ ერთხელ ვიყავი მთელს ჩემს სიცოცხლეში“.

ექიმი გაჩუმდა.

მაშინ მარკიზის ცოლმა, რომელსაც თვალებში ცრემლი მოსდიოდა, ოხვრითა სთქვა: „ეგვ არ არის, რომ მხოლოდ ქალს შეუძლიან ნამდვილი სიყვარული!“

გ. ვეზირიშვილი

*) იხ. „ივერია“, № 6.

ნაროზამ როლებისამ იქამ ჯის იჩინა თავი, რომ ნაწერის წაკითხვასაც ვერ ასრულებდნენ სცენაზედ და ერთმანეთის სალაპარაკოს თქმას, სიტყვების გადარევა და გადამახინჯებას ხომ ხშირად მოჰკრავდით ყურს. ამ გარემოების წყალობით ყველა როლმა მკრთალად ჩაიარა. განსაკუთრებით სუსტი იყო ბასსანიოს როლის აღმასრულებელი. ბ-ნი აბაშიძე მშვენიერი ლანსლოი იქმნებოდა, და ეს როლი არა ერთხელ წარმოუდგენია კიდეც კარგად,—როლის დასწავლისათვის რომ შეეწუხებინა თავი. ერთად-ერთი თავი მობენეფისე ბ-ნი ყიფიანი იყო, რომელსაც როლი რიგიანად დაესწავლა და თავისს როლს ჩაჰკვირვებოდა. ზემოხსენებულ ნაკლულევანებათა გარდა, პიესის რიგიანად აღსრულებას იმანაც შეუშალა ხელი, რომ არც არტისტების ტანთ-ჩაცმულობა შეეფერებოდა პიესას და არც სცენის მოწყობილობა. ჩვენის აზრით, ასე წარმოდგენას შექსპირის პიესებისას სულ არ წარმოდგენა სჯობია.

დრამის შემდეგ წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი ვოდევ. ბ-ნის ბალანჩივაძისა „უბედური დღე", რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის ქართულის სცენის არტისტები ბ-ნნი ნემო და ბალანჩივაძე (ავტორი ვოდევილისა). პირველი მათგანი ასრულებდა ყობო ურიას როლს ხოლო მეორე გოგია იმერლისას. ვოდევილი ცოცხალის ენით დაწერილი უმნიშვნელო, მაგრამ სიამოვნებით მოსასმენი ამბავი გამოდგა, სცენის ცოდნით დაწერილი. ორივე ქუთათურმა არტისტმა ისეთის ნიჭიერებითა და სავსებით წარმოადგინეს თავიანთი როლები, რომ ჭეშმარიტი სიამოვნება აგრძნობინეს საზოგადოებას. დიდი ხანია ტფილისის ქართულს სცენას არ უნახავს ისეთი კარგი წარმომადგენელი იმერლის როლისა, იმერლის კილოს სავსებით დაცვით, როგორიც ბ-ნი ბალანჩივაძეა. რაც შეეხება ურიის როლს, ვისაც-კი ერთხელ მაინც უნახავს ქუთათური ურია, ურია—იმერელი, ეს განკერძოებული სახე ებრაელისა, იმერეთის ზედგავლენით გადასხვაფერებული, იგი ადვილად მიხვდებოდა, რა ცოდნითა და უნარით გაგვითვალისწინა გუშინ-წინ იგი ბ-ნმა ნემომ. საერთოდ ვოდევილმა მცირეოდნად მაინც გააქარწყლა შექსპირის პიესის დუხჭირად წარმოდგენით ნაგრძნობი უსიამოვნება. ორთავე არტისტი—სტუმარი საზოგადოებამ დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვა.

თეატრი სავსე იყო ხალხით. მობენეფისეს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

მანოელიძე

## კორესპონდენცია

**ს. ხუმელაგა,** (კავკავის მაზრა). სწორეთ მოგახსენოთ, ამ ჟამად შესაბრალის მდგომარეობაში არიან ხუმელაგაში მცხოვრებნი. ბოროტის ქიშტები საკან ბარის ოსებს მოსვენება არა აქვთ. რაც საქმე კავკავის მაზრაში მცხოვრებ ოსებს 1896 წ. დაუგენეს ქიშტებმა, ეს სწორედ ენით გამოუთქმელია. აღარ გაუშვეს არც ერთი ფარეხი, საიდგანაც ცხვრის ფარა არ გარეკეს და კაცის კვლა არ მოახდინეს. მოხუცი ოსები ამბობენ, ამ ნაირი შემთხვევები შამილის დროსაც არ გაგვიგონიაო; ერთის სიტყვით ესხმოდნენ თავს მეცხვარეებს და უცვიოდნენ ეზოებში მცხოვრებთ. ამ ნაირად წარსული წლის გიორგობისთვეში, მიუცვივდნენ სოფ. ხუმელაგაში ყასბოლათა ქუძიევს, გადმოუქციეს ეზოს გალავანი და გამორეკეს ოთხი ცხენი. ყასბოლათამ მალე გაიგო, გაალო სახლის კარები და საბრალომ სიჩქარით ჩაცმაც ვეღარ მოასწრო, ზერანგის სინაბარა გამოუდგა ქიშტებს. ქიშტები სამნი იყვნენ, ორმა ცხენი გაჰრეკა და ერთი-კი უკან დარჩა, თოფი მოიმარჯვა და ოთხჯერ ესროლა ყასბოლათას, მაგრამ ააცილა. შემდეგ მისდა საუბედუროდ გასროლილი „პატრონა" გაეჭედა ბერდანის ლულაში და სროლაც შესწყვიტა. მეტი გზა არ იყო, იძრო ქიშტმა ხანჯალი და ჩასტა თხრილში. ყასბოლას არაფერი იარაღი არა ჰქონდა, მაგრამ გამწარებული ქიშტის იარაღს აღარ შეუშინდა, თითონაც ჩასტა თხრილში და მისდა იღბლად ხანჯლიან ხელში სტაცა ხელი ქიშტს და ქვეშ მოიდო. ამ დროს მოეშველა ძმაც. ყასბოლამ და მისმა ძმამ როგორც იყო, წაართვეს ქიშტს ხანჯალი და იქვე თხრილში დაარჩვეს. ქიშტი მუხნის კაცი იყო, წვერ-შეღებილი და, როგორც ხმა გამოვიდა, ბევრის ავაზაკობის მომქმედი. პატარა მოკლე ბერდანა ჰქონდა და ოცი პატრონა შემოკრული წელზედ. თავად აღმოჩნდა ს. სირხ ხოხელი. ქიშტის პატრონები რამდენჯერმე მოვიდნენ მიცვალებულის სათხოვნელად ხუმელაგელებთან, მაგრამ ხუმელაგელები ეუბნებიან, ამხანაგები ვინა ჰყავდა გვითხარით და მოგცემთ თქვენს მკვდარსაო. ქიშტები არავის აცხადებენ. ახლა ქიშტები ამის გამო მუქარას უთვლიან ხუმელაგელებს. რის გამოც შიშით გარეთ ვეღარსად გადიან საბრალო ხუმელაგელები.

ქართველი ოსებში.

## ქართული საეკლესიო გალობა

საქართველო ეწოდება ერთს კუთხეს ქვეყნისას, რომელსაც ჩრდილოეთითა და ზოგიერთს ადგილებზედ სამხრეთითაც გარს არტყია თვალ-უწვდენელი მთები, ხოლო აღმოსავლეთითა და დასავლეთით „ორთა ზღვათა შუა გადაჭიმულა". ამ მხარეში მცხოვრებს ხალხს ბევრის შრომით, ბევრის მოთმინებითა და საუკუნოების გამოცდილებით ცოდნა შეუძენია. ჟამთა ვითარების განმავლობაში ხალხის წინ-მსვლელობა არ შეფერხებულა და, რაღა გასაკვირველია, თუ თავისებური კულტურაც შეუქმნია ამ ხალხს. აუარებელი ნაშთი ხუროთ-მოძღვრებისა მოწმეა მისი, რომ ეს შტო ხელოვნებისა განვითარებული ყოფილა ამ ქვეყანაში. ეხლაც-კი ხშირად შეხვდებით ეკკლესიებისა და მონასტრების კედლებისა და კოშკების ნანგრევებს, დაინახავთ ქანდაკების ნაწარმოების ნატეხებს; ეს ნანგრევები ეხლა ყავ-ყორანის დასაბუდებელ ადგილად შექმნილა, მიწით დაფარულა და ბალახ-ბულახით მოფენილა; აქა-იქ კედლებზედ დაინახავთ ძველის მხატვრობის ნაშთს, რომელიც მტვერს დაუფარავს და რომლის სიმშვენიერე საუკუნოების მსვლელობას შთაუნთქავს. ის ადგილები, სადაც ეხლა ტიტველ მთა-გორასა ჰხედავთ, რამდენისამე საუკუნის წინად შეკული იყო ხუროთ-მოძღვრების დიდებულების ნაწარმოებით; იქ, სადაც ეხლა მარტო-ღა საფლავებია ხალხის დიდებისა, სიცოცხლით სავსე დაბა-ქალაქნი არღვევდნენ ამ დუმილს. ყოველივე ეს ეხლა წიგნად შეიქმნა, რომელშიაც ეხლანდელნი მეცნიერნი სწავლობენ ჩვენს წარსულს და ისტორიას ჩვენის ხელოვნებისას. ეს ლაბეუტავს—ნამცეცა ჩვენის ბრწყინვალე ვარსკვლავისა.

როცა წარსულს შეიგნებ, გგონია, რომ ხელოვნებასაც უნდა მიეღწია განვითარების უკანასკნელს საფეხურამდისო, მაგრამ უწყალო ბედმა და საუკუნეთა გულ-ცივმა მიმდინარეობამ შესწყვიტა ეს კანონიერი და მართებული მსვლელობა განვითარებისა. როცა საზოგადოდ ხელოვნების შესახებ ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვა-და-სხვა შტო ხელოვნებისა ერთ ნაირად არ განუვითარებია ერს, არ მიუყვანია ერთ ნაირს სიმშვენიერემდის იმ დროს, როცა ხალხის განათლებას უმაღლეს საფეხურამდის მიუღწევია. მაგ., მუსიკის ხელოვნებისა დაგვრჩა რამდენიმე ხელ-ნაწერი სხვა-და-სხვა ნაირის მუსიკალურის ნიშნებით. ეს მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ მუსიკას საზოგადო მნიშვნელობა ჰქონია და სხვას არაფერს. მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა. ბუნების მოვლენათა მშვენიერება თავისებურად ჰმოქმედებდა ძველს ქართველებზედ და საუცხოო დაუსრულებელის საიდუმლოს ხილვა ესტეტიურად განავითარებდა ხოლმე მათ. ხალხი ხედავდა რა ჰარმონიას ბუნების მოვლენათა შორის ბუნების კანონთა შეურყევლობას სწავლულობდა და სცდილობდა ეს ჰარმონია გამოეხატა, ბუნების დიდებულება გამოეთქვა როგორმე.

ერი სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული იარაღით იცავდა საყვარელს მამულს, თან სცდილობდა დაეტოვებინა ნაშთი თვისის დიდებულის ცხოვრებისა. ჩვენთა ლეგენდათა პოეზია, ლექსთა მშვენიერება, ჩვენის საერო მელოდიების თავისებურობა, რომელიც დღემდისაც დაცულია, — შექმნილია იმ ხალხისაგან, რომლის ზნეობრივ სიმტკიცეზედ იყო დაპყრობილი მისი კეთილ-დღეობა და მისი წინ-სვლა; ამ დროის ნაშთებში ერთი უძვირფასესთაგანია საეკკლესიო გალობა, და აი, ამ გალობის შესახებ მსურს გაკვრით მოვიხსენიო, თუ სად არის წყარო ამ საყურადღებო განძისა. სემიტელებ შორის უეჭველად უპირატესობა ებრაელთ უნდა დაუსაკუთროთ პოეზიისა და მუსიკის განვითარების მხრივ. როგორც ვგონებ, არც ერთს სემიტის ჯგუფს ხალხს არ მიუყვანია ეს ხელოვნება იმ სიმაღლემდის, რა სიმაღლემდისა და განვითარებამდისაც ებრაელებმა მიიყვანეს იგი. ებრაელთა მუსიკა განვითარდა პოეზიასთან ერთად. პოეზიასთან ერთად მუსიკა თავისს დასაბამს იძიებდა ღვთაებაში და პირველად ყოვლისა ღვთაებას ემსახურებოდა.

ღვთის დიდება, ღვთის მიმართ ვედრება და სამადლობელი ღაღადისი შესაძლებელი იყო მხოლოდ ორის ღვთაებრივის, ხელოვნების—მუსიკისა და პოეზიის ერთმანეთის დახმარებით. ასე რომ მუსიკა უწინ, ასე ვსთქვათ, ხელოვნებაზედ უფრო მაღლა იდგა, რადგან იგი იყო ღვთის სამსახურო და არა გამართობელი ხელოვნება. ესტეტიკა-კი არა, სარწმუნოება იყო მისი ზეშთამაგონებელი. ქრისტეანთა მუსიკის სარწმუნოებრივი შინაარსი, სასტიკა ჰანგები პირდაპირი შთამომავალია ებრაელთა მუსიკისა. საბერძნეთის ხელოვნებამ მოგვცა გარეგანი სიმშვენიერე და წყობილება. აი ამ მუსიკის ზედგავლენის წყალობით დღევანდელმა საეკკლესიო გალობამ მოიპოვა ის საღმრთო ძლიერება, რომელსაც ვგრძნობთ ხოლმე ეკკლესიაში ამ გალობის მოსმენით. ქართული საეკკგალობა უდრის სლავიანურსა და პროტესტანტულს დიდებულობითა და მუსიკალურის ენის ძლიერებით. ქართულის საეკკლესიო გალობის განსაკუთრებულ თვისებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ გალობაში ხშირია სამ გვარ სათვალავის ტაქტები და სხ. სხვა და სხვა საგალობელის მელოდიის რითმიული სიმდიდრე აღგებულია ხალხის სიმდიდრის მელოდიების საფუძველზედ. აქედამ შეტანილ იქმნა საეკკლესიო გალობაში სახალხო ელემენტები: სიმარტივე, ჰარმნიული შეერთება სამის ხმისა, მწყობრი მელოდია; აი ეს თვისებანი აერთებენ საერო გალობას საეკკლესიოსთან.

დიდი შრომა დასჭირდება იმას, ვინც მოინდომებს ჩვენის საეკკლესიო გალობის შემუშავებას. იგი უნდა ეცადოს იმოქმედოს თავისუფლად, არ შეიქმნეს ყურ-მოჭრილი მონა დაძველებულის კომპოზიციის იარაღებისა, მაგრამ ამასთანავე უნდა კარგად იცოდეს ძველი კანონი და რიგი, რათა დაიცვას წმინდა და სასტიკი ჰარმონია ჩვენის გალობისა. კარგი ცოდნა უნდა ჰქონდეს საზოგადოდ ჩვენის ძველის მუსიკისა განსაკუთრებით იმას, ვინც მოინდომებს ახალის ელემენტების შეტანას ჩვენს გალობაში.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი გალობა სამის ხმისათვის არის დაწერილი, მეოთხე ხმის შემოღება ამ გალობაში სრულიად ახალია. ბ-ნი ბენაშვილი მოთავეა ამ საქმისა და, მართალი უნდა ვსთქვათ, კიდეც გაიმარჯვა, თავისს აზრს მიაღწია კიდეც მუსიკალურ აზრთა სიხლე, სინამდვილე და მწყობრი მელოდიები არა თუ არ მოსპობილა, წინააღმდეგ უფროც გაძლიერებულა. მეოთხე ხმის—ტენორის—შემოღებას არავითარი ზიანი არ მიუცია ძველ საგალობელთა მწყობრის ჰარმონიისათვის; თუმცა კი გალობის ფორმა შეცვლილია, მაგრამ მთავარი აზრი, შინაარსი, თვით მუსიკალური მოთხრობა მეტად კარგად არის დაცული. კომპოზიტს აზრის ძლიერება მეტად ძვირფასად მიაჩნია, მას უფრო ფასსა სდებს და ამიტომაც არის, რომ შეხორცებული ძველი ახალთან მსმენელზედ კარგადა ჰმოქმედებს. შეიძლება ჩვენის ცხოვრების პატრიარხულის წესწყობილების დამცველებმა ღვთის გმობად მიიღონ მეოთხე ხმის შემოღება, მაგრამ ამ აზრს ვერას დროს ვერ დავეთანხმებით, რადგან დიდი შეცდომა იქნება იგი; ხალხი განვითარდა, მას ველარ აკმაყოფილებს ძველი წესები, ცივილიზაციამ გაამდიდრა და განავითარა ჩვენი გრძნობები და აზრები, მისი ჰარმონია თუ გველაპარაკება მშობლიურს ენაზედ, მოგვითხრობს ისე არა, როგორც თხოულობს ჩვენი არსება, ამიტომაც ძველი საეკლესიო გალობა სავსებით ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას ამ სფეროში. აი მიზეზი, რადაც სიამოვნებით ვეგებებით ბ-ნ ბენაშვილის დაუფასებელს შრომას და ვუსურვებთ მომავალშიაც გამარჯვებას და წარმატებას მისს ჩინებულს დაწყობილებას. ჩვენა გვწამს, რომ მისი ახალი აზრი ნათელს მოჰფენს ჩვენს ძველს მუსიკას.

ი. კარგარეთელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ).

მოახლოვდა ქალაქის არჩევანები და საზოგადოება და გაზეთები გაფაციცებით შეუდგნენ ამ საქმის გაწეს-რიგებას. ყველას კარგად ახსოვს, თუ რა სამწუხარო შედეგი მოჰყვა წარსულ არჩევანებს. რომ მომავალმა არჩევანებმაც ისეთივე შავი კვალი არ დასტოვოს მოქალაქეთა ცხოვრებაში, ჩვენის გაზეთების უმეტესობაც სხვა-და-სხვა საშუალების ძებნას შეუდგა. გაზეთი „კავკაზი" სამართლიანად აღნიშნავს იმ მკვიდრთათვის სამწუხარო მოვლენას, რომ მხოლოდ სოლოლაკმა, ამ სომხების კაპიტალის სადარომ, ჩაიგდო ხელში ქალაქის მართვა-გამგეობის უფროსობაო. ქალაქის თვით-მმართველობა უმეტეს ნაწილად სოლოლაკის ინტერესებს ემსახურებაო და სხვა... გაზეთი სამართლიანად ასახელებს ამ მოვლენას ქართველებსა და სომხებს შორის უკმაყოფილების მიზეზად.

არ უნდა დავივიწყოთო, ამბობს გაზეთი,—რომ ტფილისი საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სატახტო ქალაქს შეადგენდა; არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ყოველი გოჯი ამ ქალაქისა მორწყულია ქართველთა სისხლით, მოკირწყლულია მათის გმირულის ძვლებითო. ამ ერის ქონებრივი დაქვეითებით არ უნდა სარგებლობდნენ დღეს იმის ქალაქის საბჭოდამ განსამევებლად... ნუ-თუ მთელი ქალაქი უნდა წარმოადგენდეს კვარცხლბეკს მხოლოდ სოლოლაკელ მდიდრებისას? არ უნდა დავიწყოთ, რომ ტფილისს აქვს აგრეთვე მკვლებური, ნარ-შეუცვლელი მთა წმიდა, ყოველ დღე მოზარდი კუკია, უსუფთაო ავლაბარი, თავ-მინებებული რიყე, ღვთისა და კაცისაგან მოძულებული დიდუბე, ნავთლუხი და სხვანი..."

დასასრულ გაზეთი ურჩევს ქალაქს, რომ ხმოსანთა არჩევანები ისე ნუ კი იქნება მოწყობილი, როგორც წინად იყო, არამედ ქალაქის ყველა უბანმა ცალ-ცალკე აირჩიოს თავისი წარმომადგენელნიო. ასეთი წეს-რიგი, რასაკვირველია, უფრო სამართლიანია და არ შეიძლება არ თანავუგრძნოთ გაზეთს „კავკაზს".

—

თუმც ერთის მხრით გვარწმუნებენ, რომ საფრანგეთსა და რუსეთს შორის კავშირი იგივე და შეუცვლელად მტკიცეაო, მაგრამ მეორეს მხრით გასაოცარია, რომ ლავისსმა, პროფესორმა სორბონისამ, რომელიც ახალგაზდათა დიდი საყვარელია და რომელიც ახალს მოძრაობას საფრანგეთში თავში უდგია, დაბეჭდა „Revue de Paris"-ში წერილი „მეგობრის" საწინააღმდეგო. რუსეთი ჩვენით სარგებლობს, ჩვენ მიგვმალა აღმოსავლეთის პოლიტიკაში,

ჩვენი ინტერესები უკან დააყენა და თვითონ კი ძლევა-მოსილ მმართველად შეიქმნა დღევანდელის პოლიტიკისა. ამის შესახებ „ნოვ. ვრემ.“-ში ვრცელი წერილია დასტამბული:

საფრანგეთს არავითარი ინტერესი არ აქვს ოსმალეთში. მარტო რუსეთისა და ავსტრიისთვის არის დიდმნიშვნელოვანი აღმოსავლეთის საქმის მათდა სასარგებლოდ გათავება. ბოსფორი რუსეთისათვის მიუცილებელია, რადგან ხმელთა შუა ზღვაში მარტო ამ გზით შეუძლიან რუსეთს შესვლა და სამხრეთ რუსეთის მდინარეები ყველა იქ ჩადიანო. აგრეთვე ავსტრიისათვის არის საჭირო, თუმც იმდენად არა, რომ დუნაისგან თავისუფალი გასასვლელი გზა იშოვოს. სხვა სახელმწიფოს არავითარი საინტერესო არ აბადია ბოსფორში და თუ საფრანგეთი მოინდომებს რუსეთს მეტოქობა გაუწიოს ამ საქმეში, მაშინ არასოდეს არავითარი კავშირი აღარ იქმნება შესაძლებელი მათ შორის. რად უგვირს საფრანგეთს, რომ ბოსფორის საქმეში რუსეთს პირველი ადგილი უკავია. ამ მხრით საფრანგეთს არავითარი სამსახური არ გაუწევია რუსეთისათვის. და ამ საქმეში რუსეთს ყოველთვის პირველი ადგილი ექმნებოდა რაც უნდა დამართნოდა საფრანგეთსაო. თუ პირველობა ჰქნებავს საფრანგეთს, აგერ არ არის ეგვიპტის საქმე. ამ საქმის რიგიანად გათავებაზე არის დამოკიდებული ბედი საფრანგეთის პოლიტიკისა აფრიკაში. ამ საქმეში რუსეთი თავის დღეში არ შეეშიდება საფრანგეთს, რადგანაც კარგად ესმის, ეს საფრანგეთისათვის უფრო სასარგებლოაო.

## სასამართლო მატიანე

ბებია ქარუმიძის საქმე.

ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საყურადღებო საქმე მუცლის წახდენის შესახებ. ეს საქმე ჰბრალდებოდა ტფილისის მაზრის სოფ. ხაშმის მცხოვრებელ დედაკაცს ვიღაც ქარუმიძისას, 50 წლისას, რომელსაც ხელობად ჰქონდა თურმე ექიმობა და ბებიაობა. ერთხელ ეს ბებია მოიწვიეს ახალგაზდა ქალ ნოხუთაშვილისას, რომელიც სამის თვის ფეხ-მძიმე იყო და ქარუმიძისამ, ამ ქალის თანხმობით, მუცლის წასახდენი წამლები ასვა. წამალმა ისე ძლიერ გასჭრა თურმე, რომ ახლად ჩასახულ ბავშს დედაც თან გააყოლა და საბრალო ყმაწვილმა ქალმა ორის დღის ტანჯვის შემდეგ სული დალია.

სასამართლომ ქარუმიძისა დამნაშავედ იცნო და გარდუწყვიტა ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და საპატიმროში დაპატიმრება $3^1/_2$ წლის ვადით.

ქარუმიძისა წარსულის წლის თიბათვის თვიდგანვე იყო დაპატიმრებული, ვიდრე მისის საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებდა. გაიგონა თუ არა სასამართლოს გარდაწყვეტილება, ჯიბიდგან მაშინვე შუშის ნატეხი ამოიღო და უნდა ყელი გამოეჭრა, მაგრამ სასამართლოს უწყებების დამრიგებელმა ივანნიკოვმა თვალი შეასწრო და შეაჩერა.

## დამაკვირდი

— თუ თქვენ გძულთ ვინმე და არას დონის-ძიებას არა ჰთაკილობთ, რომ ავნოთ; თუ ფული — თქვენი პირველი და უკანასკნელი სანატრელია და ცბიერობა და ფარისევლობა თქვენის მოქმედების დონეა; თუ სხვისი ბედნიერება გწყინთ; თუ სხვისი ნიჭიერება მარტო შურს გიბადავთ და კარგი ღირსება მტრად გხდისთ; თუ გული თქვენი დახურულია გულ-მტკივნეულობისათვის და იქნება სხვისი უბედურობა გიხარიანთ კიდეც, — თქვენ ღირსი არა ხართ ცოცხალი იყოთ. თუ თქვენ ამისთანა თვისების პატრონი, ჯერ არ მისულხართ დიდსა და აკ-აცურ დანაშაულამდე მარტო იმიტომ, რომ ამისათვის არც დონე გქონიათ, არც შემთხვევა

ვეისი.

*
* *

— თუ იპოვით იმისთანა კაცს, რომ კეთილიც იყოს, მცოდნეც და მაგარის ხასიათისაც, თამამად შეგიძლიანთ სთქვათ, რომ მერვე სასწაული ქვეყნისა ვნახეო. ჭაბუკნო, რომელთაც სახელის შოვნა გწყურიანთ! გახსოვდეთ, რომ ამ სამს ღირსებაშია მოთავსებული ყველა იგი დაფნის გვირგვინი, რომელსაც თქვენ ეტანებით და რომელსაც თქვენა ჰნატრობთ.

ვეისი.

* *
*

— ჭეშმარიტი ტალანტი სამს სიტყვას არ იტყვის იქ, სადა ორი სიტყვაა საკმაო.

ვეისი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

სამხრეთ-ამერიკაში, სახელდობრ კოლუმბიაში ერთგვარი ხეა თურმე, რომელსაც ცეცხლი არ ეკიდება. იმ ხეს ეძახიან „როპალა ობოვატა“. ეს ხე ჯმუხი ხეა, არ იცის ფოთოლი და მინდვრად მოდის. სამხრეთ-ამერიკის მინდვრებში ხშირად იცის ცეცხლი. იქაურს მკვიდრს ჩვეულებადა აქვს თურმე მზისაგან მოგოლვილი ბალახი მინდორზე ცეცხლ-წაკიდებით ამოაგდოს, რომ ახალი ბალახი ამოვიდეს, როგორც ჩვენში იციან ნამკალის დაწვა ხოლმე. ბალახის ნაცარი ასუქებს მიწას და ამისათვის სწვენ ხოლმე. ბალახი რომ იწვის, მისი ცეცხლი საცა-კი მინდორში ხე შეხვდება, გადასწვავს ხოლმე ძირიანად. მარტო ერთგვარი ხეა, რომელსაც „როპალა ობოვატა“ ჰქვიან და არამც თუ ცეცხლი არა სწვავს, არც ეკიდება. კანი ანუ ქერეჭი ამ ხესა ისე შემხმარი აქვს, რომ ცეცხლი ვერას აკლებს და ეს ქერეჭი ინახავს თურმე ხეს, თუნდ გარშამო ცეცხლი გრიალებდეს. ამ სახით იგი უძლებს ცეცხლსა და ერთად-ერთგვარი ხეა, რომელიც მოდის კოლუმბიის მინდვრებზე, საცა ეგრე ხშირია ხოლმე მინდვრებში ცეცხლი.

(პ. ი ლ.)

**
*

— ბევრი თქმულა და წერებულა ფრინველთა სისწრაფეზე, მაგრამ ამ საგანზე ბევრი გადამეტებით უთქვამთ. ეხლახან ბელგიაში უცდიათ მერცხალი. ამისათვის ერთს კაცს, სახელად ვერშურენს, დაუჭერია ანტვერპენში ერთი მერცხალი, გულ-მკერდი შეუღებავს წითლად ნიშნისათვის, მიუცია თავისის ნაცნობისათვის, რომელიც კამპიენში მიდენილა და თან მიჰყვანებია 150 ფოშტის მტრედი. მეორეს დღეს კამპიენიდან შვიდს საათზე და 15 წუთზე გამოუშვია დანიშნული მერცხალი და მტრედები. მერცხალს ბევრი არა უფიქრია რა და პირ დაპირ წამოსულა ანტვერპენისაკენ. მტრედებს-კი კარგა ხანს უტრიალნიათ იქავე, რომ აირჩიონ რა გზით წავიდნენ შინისაკენ. 8 საათს და 23 წუთს ვერშურენს დაუნახავს დანიშნული მერცხალი. რომელიც მიფრენილა თავის ბუდეში. აქ რამდენიმე მოწამეც დასწრებია და უნახავთ, რომ სწორედ წინად დანიშნული მერცხალია მტრედები-კი 11-ს საათზე მოსულან. ამ სახით აღმოჩნდა, რომ მერცხალს გაუვლია 212 ვერსტი რადგანაც კომპიენი ანტერპენზე ამ სიშორეზეა, ერთს საათს და რვა წუთში, მაშასადამე, საათში უვლია $186^8/_{10}$ ვერსტი, მტრედებს-კი უვლიათ $51^8/_{10}$ ვერსტი საათში.

# დეპეშა

23 იანვარი.

**პეტერბურგი** 22 იანვარს გრაფი მურავიოვი საზღვარ-გარეთიდგან დაბრუნდა პეტერბურგს.

**ლონდონი**. პარლამენტმა მეორე კითხვის დროს, 228 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 157, შეიწყნარა ბეგგის წინადადება მის შესახებ, რომ ქალებსაც მაენიჭოს ამომრჩეველთა უფლებანი.

**კონსტანტინეპოლი**. სახელმწიფო საბჭოს წევრი, ტეჭიკ-ბეი და იერუსალიმის დეპუტატი უსუფ-ფაშა, სულთანის მინდობილობით გაემგზავრა ევროპისაკენ, პარიზსა და ლონდონში მყოფ ოსმალეთის სარევოლიუციო კომიტეტებთან მოსალაპარაკებლად. იმათ უნდათ შეაჩერონ კომიტეტთა მოქმედება. როგორც ამბობენ, სამხედრო სასწავლებლების დირექტორი, ტეჭიკ-ფაშა იმავე მიზნით მიდის პარიზში. აგრეთვე ამბობენ, რომ პარიზში მყოფს ოსმალეთის სარევოლიუციო კომიტეტს სტამბოლიდან იმედებს აძლევენ, რომ ზოგიერთი მისი მოთხოვნილება კონსტიტუციის განახლების შესახებ ბარიშის დღესასწაულისთვის დაკმაყოფილებული იქნებაო. კოსტანტინეპოლში არ სჯერათ ეს ხმები და ფიქრობენ, რომ მხოლოდ იმისთვის გაავრცელეს, რომ რომაზანის დროს შეაჩერონ კომიტეტთა მოქმედებაო.

კრიტზედ, კანეიას ოლქში სრული ანარხია სუფევს. იუწყებიან, რომ ქრისტიანები და მაჰმადიანები ბევრჯერ შეჰტაკებიან ერთმანერთს. აპოკარონიდან შეიარაღებული ბრბო ქრისტიანეთა კანეიაში მიდის. ასეთივე უწესოება სუფევს რეტიმნოსა და კანდის ოლქებში. ახალს აჯანყებას მოელიან.

**კანეია**. აჯანყება, როგორც ამბობენ, გამოწვეულია მით, რომ ცვლილებათა შემოღებას ხელი შეუშალონ. კონსულები სცდილობენ მკვიდრთა დაწყნარებას. გემების მოსვლის დროს არაფერი უწესოება არ ყოფილა თვით ქალაქში, მაგრამ ქალაქის მახლობლად-კი გაისმოდა თოფების გრიალი. ბრიტანიის გემის უფროსმა ექვსიოდე კაცი დააყენა ტელეგრაფის სვეტების დასაცველად. ამდენივე კაცი გამოგზავნა საფრანგეთის გემის უფროსმა.

**აბორდატი**. დერვიშებმა ჯარები გაგზავნეს მდ. გაშის ხეობაში. საღამოს ეს ჯარი მივიდა ბარგაროს მთის ძირში. იტალიელების მოწინავე რაზმმა კასალიდან ელიტისაკენ გასწია სადაც სხვა ჯარებს შეუერთდება.

## საკალენდარო ცნობები

იანვარი

24 პარასკევი. ღირს. დედისა ქსენიასი; მოწ. ბაბილოსი.

კათოლ, წმ. წამ. ტიმოთესი და იაროსლავისა.

სომეხ. მარხვა.

# განცხადებანი

**ყარსის რკინის გზის სამმართველო** ამითი აცხადებს, რომ ამ მიმდინარე წლის 15 თებერვალს, თვით ამავე გზის სამმართველოს შენობაში, რტიშჩევის ქუჩაზედ, № 26, დილის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ყარსის რკინის გზის შენობისათვის საჭირო, რიცხვით სამი მილიონის აგურის მიტანის იჯარით გაცემისა.

აგური უნდა იყოს კარგად შეზავებული თიხა ნარევის ქვა-კირითა და სილით, კარგად გამომწვარი, მჭიდრო და მაგარი; არ უნდა ერიოს ქვა-ხრეში და სხვა აგურისათვის მავნებელი ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს აგურის მალე დაშლა დამტვრევას წყლისა და ნალბისაგან და, ამასთან წყალშიაც გამძლე იყოს. დაკვრის დროს აგურმა უნდა გამოსცეს ლითონისებრივი ხმა; კიდეები უნდა ჰქონდეს სწორე, რომ უფრო ადვილად შეიძლებოდეს კედლის სწორედ ამოყვანა.

აგური ამ ზომისა უნდა იყოს: სიგრძე უნდა ჰქონდეს 6 სიგანე $2^7/_8$ და სისქით კი $1^1/_2$ ვერშოკი.

აგური მიიღება აქეთა მხრის რკინის გზაზედ და ან თვით ყარსის გზაზედ, ვაგონებში ჩაწყობილი; დანიშნულ ადგილზე აგურის კარგად მიტანის პასუხის გება უნდა იკისროს თვით მოიჯარადრემ. ხოლო ნახევარ-ნახევარი აგური შეიძლება ერიოს 15%. ფულის მიღება შეიძლება: 75% აგურის ვაგონებში ჩაწყობის თანავე და 25% კი იმის დანიშნულ ადგილას მიღების შემდეგ.

მოიჯარადრე აგურის დაზიანებისათვის პასუხის გებისაგან განთავისუფლდება, თუ ეს დაზიანება რკინის გზის მიზეზით მოხდა.

გადატან გადმოტანა აგურისა კავკასიის აქეთა მხრისა და ყარსის რკინის გზებზედ შეიძლება შეღავათიანის ტარიფით: ფუთის ყოველ ვერსზედ დათმობა, $^1/_{000}$ კ. გარდა სადგურის სხვა გადასახადთა, რომელიც ჩვეულებისამებრ გარდახდება.

ვაგონში დასაფენი ფიცრები და სხვა მისთანები, რაც კი აგურის გადატან გადმოტანის დროს იხმარება, მოიჯარადრეს დაუბრუნდება იმ სადგურზე, სადაც თვით აგურის ქარხანაა. ხოლო ამ ფიცრების წაღებ-წამოღება მუქთად შეიძლება ყარსის გზაზედ, კავკასიის აქეთა ნხრის რკინის გზებზე კი შეღავათიანის ტარიფით.

აგური უნდა ჩაჰბარდეს თანასწორ ნაწილებად ამ წლის პირველ ოკტომბრამდე. ამასთანავე ამ იჯარის აღების მსურველთ ვაუწყებთ, რომ სადგურ სალანლუღის მახლობლად მოიპოვება ისეთი მასალა, რომლიდანაც შეიძლება საკმაოდ კარგის ღირსების აგურის გაკეთება და თუ ვინმე გამოჩნდება მსურველი ააგოს ამ სადგურთან აგურის ქარხანა, ამისთვის საჭირო მასალა ყარსის გზაზედ ზემოხსენებულის ტარიფით შეიძლება გადაიტანოს.

პირობის შეკვრის, დროს, ვინც ამ იჯარას აიღებს, უნდა შემოიტანოს ბეთ მთელის ჯამის 5%; ამას გარდა, რკინის გზა ყოველ მიტანილ აგურის საფასურიდგან დაიჭერს 10% ამ ბეს შესავსებლად იმ დრომდე, ვიდრე შესრულდებოდეს ყარსის რკინის გზის მოიჯარადრეთათვის დაწესებული რაოდენობა.

დაწვრილებითი პირობის შეტყობა თვით ყარსის გზის სამმართველოს სამეურნეო განყოფილებაში დილის 9—11 საათამდე, ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა. (3—6.—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისის 28 დეკემბრის 1896 წლის გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დაამტკიცა ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა 8 იანვარს 1897 წ., შესდგება საბჭოს

**საარჩევანო სიები**

ტფილისის ხმოსანთა ასარჩევად ოთხის წლის ვადით 1897—1901 წლებში, საარჩევანო კრებაში, რომელიც დანიშნულია კვირას, 18 მაისს 1897 წელს.

ამ სიაში ჩაიწერებიან (24 მუხლ. ქალაქის დებულებისა):

1) რუსეთის ქვეშევრდომნი, აგრეთვე საქველ-მოქმედო, სამეცნიერო და სამოსწავლო დაწესებულებანი მთავრობისანი, რომელთაც აქვთ საკუთარი უძრავი მამული ტფილისის სამზღვართა შორის, ღირებული არა ნაკლებ ას ორმოცდა-ათის თუმნისა, და რომლისათვისაც იხდიან ქალაქის სასარგებლოდ დაფასების გარდასახადს.

და 2) რუსეთის ქვეშევრდომნი და რუსეთის იმპერიის კანონთამებრ დაარსებულნი საზოგადოებანი, ამხანაგობანი, რომელთაც წელიწადზე ნაკლები არ არის, რაც ტფილისში აქვთ სავაჭრო-სამრეწველო წარმოება, რისთვისაც საჭიროა მოწმობა ირველის ან მეორე გილდისა.

ქალაქის გამგეობა თავისს მოვალეობადა სთვლის ყოველსავე ზემოხსენებულს დასძინოს, რომ საარჩევანო სიების შედგენას იგი დაასრულებს, თანხმად იმავე გარდაწყვეტილებისა, ამა 1897 წ. 1 თებერვლამდე. ამიტომ ვისაც ჰსურს ჩაწერილ იქმნას სიებში, ამ წლის იანვრის გასვლამდე უნდა შემოიტანოს ქალაქის ყოველივე დარჩენილი გარდასახადი, რომელიც ერგება გამგეობას წარსულ წლის 1 ივლისამდე, რათა მათზედ დარჩეს არა უმეტეს ნახევარ წლის შემოსატანი, ქალაქის დებულების მე-33 მუხლის გ. 8 ძალით. (3—2)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

# ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის მმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან. (3—4)

Дозволено цензурою, Тифлисъ 23 го Января 1897 г.

სტამბ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.